

# მეხსიარების პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში

(ძირითადი ასპექტები)

გიორგი მაისურაძე



# მეხსიარების პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში (ძირითადი ასპექტები)

გიორგი მაისურაძე

სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ გამოხატავდეს  
ჰაინრიხ ბოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

ფოტო გარეკანზე: მორის ვულფი

 **HEINRICH BÖLL STIFTUNG**  
**თბილისი**  
სამხრეთ კავკასია

2022

# შინაარსი

|                                                                 |    |
|-----------------------------------------------------------------|----|
| მეხსიარება და მისი პოლიტიკა                                     | 4  |
| საბჭოთა იმპერიიდან დამოუკიდებლობისაკენ                          | 6  |
| „ეროვნული მოძრაობა“ და მეხსიარების რევიზია                      | 8  |
| დამოუკიდებლობა, როგორც „მეხსიარების ადგილი“                     | 10 |
| „ტერიტორიული მთლიანობა“ – მეხსიარების<br>პოლიტიკის ახალი სიბოლო | 12 |
| „ბნელი 90-იანი წლები“ და ეკლესიის აღზევების დასაწყისი           | 14 |
| „ვარდების რევოლუცია“ და „უძველესი ევროპელები“                   | 16 |
| „ქართული ოცნება“ და „სისხლიანი ცხრა წელი“                       | 20 |
| ახლო და შორეული წარსული მეხსიარების<br>პოლიტიკის პერსპექტივიდან | 22 |
| გამოყენებული ლიტერატურა                                         | 24 |

# მეხსიერება და მისი პოლიტიკა

მეხსიერების პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოებრიობას და ეროვნულ ინტეგრაციას უკავშირდება და მისი საბოლოო მიზანი კოლექტიური იდენტობის შექმნაა. კოლექტიური იდენტობა, რომლის მეშვეობითაც ცალკეული ადამიანი ამა თუ იმ ჯგუფს თუ ერთობას თავს მიაკუთვნებს, კოლექტიურ მეხსიერებას (Halbwachs, Maurice, 1950) ეფუძნება. კოლექტიური მეხსიერება, განსაკუთრებით ეროვნულ-სახელმწიფოებრივ დონეზე, მნიშვნელოვანწილად მიზანმიმართული პოლიტიკის შედეგია. საქმე ეხება, ერთი მხრივ, კულტურული საიდენტიფიკაციო ფიგურების – გმირების, მოწამეების, დიდი წინაპრების, საამაყო და მისაბაძი შვილების – შექმნას, მათი გახსენების და თაყვანისცემის რიტუალებს, მათი სახელების კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, ქუჩებისთვის, ზოგჯერ ქალაქებისთვის დარქმევას, ძეგლების თუ მემორიალების დადგმას; მეორე მხრივ, საერთო-ეროვნულ დღესასწაულებს, ისტორიული თარიღების აღნიშვნას, კოლექტიურ გლოვას და ზეიმს, მხატვრულ და ისტორიულ ნარატივებს, რომლებსაც ფრანგი ისტორიკოსი პიერ ნორა „მეხსიერების ადგილებს“ (Les lieux de mémoire) უწოდებს (Nora, Pierre, 1986). „ადგილი“ აქ გეოგრაფიულ-სივრცობრივი მნიშვნელობით არ იხმარება, არამედ მეხსიერების კრისტალიზაციას, მის გასაგნებას აღნიშნავს. ასეთი „ადგილების“, ანუ სიმბოლოების, ფიგურების, ნარატივებისა თუ სადღესასწაულო რიტუალებისგან შედგება „კულტურული მეხსიერება“, რომელიც კოლექტივის საერთო ღირებულებებს გამოხატავს (Assmann, Jan, 1999, გვ. 21-22). ასეთი იდეალებისა და ღირებულებების ერთობა, მათი საერთო მეხსიერებად გარდაქმნა, პოლიტიკის შედეგად მიიღწევა, უპირველეს ყოვლისა, განათლებისა და კულტურის მიმართულებით (Assmann, Aleida, 1993, გვ. 8-11).

მეხსიერების პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას დიდი ტრანსფორმაციების ეპოქაში იძენს, როდესაც პოლიტიკური სისტემა იცვლება, ან ახალი ერი და სახელმწიფო ფუძნდება. ამგვარი ცვლილებების დროს საჭირო ხდება არსებული კულტურული მეხსიერების ფორმების დემონტაჟი და მისი ახლით ჩანაცვლება. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლა მსოფლიო ისტორიული მასშტაბის ტრანსფორმაცია იყო, რომლის შედეგადაც, ერთი მხრივ, საბჭოთა ყაიღის სოციალისტური სისტემა მოიშალა, მეორე მხრივ, ახალი ეროვნული სახელმწიფოები წარმოიქმნა. ასეთ ვითარებაში იქმნება საქართველოს საბჭოთა

სოციალისტური რესპუბლიკის ადგილზე დამოუკიდებელი სახელმწიფო, თავისი ახალი კულტურული მეხსიერებით და მასზე დაფუძნებული ახალი ეროვნული იდენტობით. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა მეხსიერების კულტურა არა მხოლოდ გადასალახავი და დასაძლევია იყო ახალი ეროვნული სახელმწიფოსთვის, არამედ მრავალი ელემენტი უკვე დამოუკიდებელი საქართველოს მეხსიერების პოლიტიკაში ფაქტობრივად საბჭოთა პერიოდის მომხდარი ძვრების ვარიაციებს წარმოადგენს.



# საბჭოთა იმპერიიდან დამოუკიდებლობისაკენ

1986 წელს საბჭოთა კავშირის ბოლო სახელმწიფო მეთაურის – მიხაილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებული „პერესტროიკის“ პოლიტიკის შედეგად მოიხსნა საბჭოთა იდეოლოგიის მონოპოლია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, შესაბამისად, მეხსიერების კულტურაზეც. სსრკ, როგორც იდეოკრატიული სახელმწიფო, მთელ თავის ადმინისტრაციულ და ინტელექტუალურ რესურსს არ იშურებდა თავისი მრავალეთნიკური მოსახლეობის იდეოლოგიური აღზრდისათვის, რომლის ბირთვსაც ეროვნული საკითხი, „საბჭოთა ხალხების ოჯახში“ „ეროვნული თვითმყოფადობის“ (nacional'naja samobytnost') განვითარება და მართვა წარმოადგენდა. ამ პოლიტიკის ჩარჩოები ჯერ კიდევ 1930 წელს სტალინის ფორმულით – „ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური“ – განისაზღვრა (Martin, Terry, 2001, გვ. 245-249). შესაბამისად, მეხსიერების პოლიტიკა ამ ჩარჩოს მიხედვით უნდა წარმართულიყო. 1920-30-იან წლებში მთელი სსრკ-ის მასშტაბით იქმნება საბჭოთა ხალხების ეროვნული ფორმები, თავისი ეროვნული ტანსაცმლით, მუსიკით, ლიტერატურული კანონით, ისტორიული ნარატივებით თუ გმირების პანთეონით.

საბჭოთა მეხსიერების კულტურაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა პოეტის, როგორც ეროვნული კულტურის სიმბოლური რეპრეზენტანტის კულტმა. 1937 წელს სსრკ-ის მასშტაბით აღინიშნება შოთა რუსთაველის იუბილე („ვეფხისტყაოსნის“ დაწერის 750 წელი). რუსთაველის სახელი ენიჭება თბილისის ცენტრალურ გამზირს, სახელმწიფო დრამატულ თეატრს, თეატრისა და კინოს ინსტიტუტს, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს, იდგმება მისი ძეგლები. ამავე წელს საქართველოს სსრ ზეიმობს ილია ჭავჭავაძის 100 წლისთავს. ამით ბოლშევიკების კრიტიკული დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძისადმი, როგორც ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლისა და კლასობრივი მტრისადმი, საბოლოოდ იცვლება მისი ახალი სტილიზაციით, როგორც რუსთაველთან ერთად ყველაზე დიდი ქართველის, „ერის მამის“ და, ამასთანავე, იოსებ ჯუღაშვილის, როგორც პოეტის და მომავალი ბელადის აღმომჩენის ხატება (Maisuradze/Thun-Hohenstein, 2015, გვ. 227). რუსთაველის გვერდით, ილია ჭავჭავაძის სახით ყველაზე ცნობილი ქართველის ხატები და ეროვნული კულტურის სიმბოლოები იქმნება. მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომ პერიოდში საბჭოთა მეხსიერების პოლიტიკის ვექტორი კიდევ უფრო მეტად იხრება ეროვნულ-ისტორიული გმირებისა და უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიის პეროიზაციისკენ. ისტორიული და ფილოლოგიური მეცნიერებების განვითარების, არქეოლოგიური გათხრების პარალელურად, საბჭოთა პერიოდში შემოდის ქართულ კულტურულ მეხსიერებაში კოლხეთი და არგონავტების მითი (1969 წელს ბიჭვინთაში დაიდგა მედეას ქანდაკება, მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი – Khalvashi, 2018, გვ. 17), გამოიცემა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების უდიდესი ნაწილი, ვითარდება ისტორიული რომანი, ეროვნულ-ისტო-

რიული ჟანრი დომინირებს პოეზიაში, კინოში, თეატრში, ვიზუალურ ხელოვნებაში. საბჭოთა ეპოქის დასასრულს საქართველოს სსრ-ის მეხსიერების კულტურა უმეტესწილად ეროვნულ-ისტორიული ფიგურებისა და ნარატივებისგან შედგება. მათ გვერდით საერთო-საბჭოთა მეხსიერების ადგილები – უცნობი ჯარისკაცის საფლავი, ლენინის ძეგლები და ქუჩები, ქართველ ბოლშევიკთა მემორიალები, ან 1 მაისისა და 7 ნოემბრის დღესასწაულები – ფორმალურ სტატუსსა ინარჩუნებენ. ერთადერთი მეხსიერების ადგილი, რომელშიც საბჭოთა და ქართულ-ეროვნული ერთმანეთს შეერწყა, სტალინის კულტია, რომელიც მიუხედავად 1956 წელს სსრკ-ის მასშტაბით გაუქმებისა, საქართველოში ნახევარად ოფიციალურად შენარჩუნდა ქალაქ გორში მისი მონუმენტით და სახლ-მუზეუმით, აგრეთვე სტალინის ქუჩებით საქართველოს თითქმის ყველა ქალაქსა და სოფელში.

სსრკ-ის არსებობის უკანასკნელ ფაზაში საბჭოთა საქართველოს მეხსიერების კულტურაში ეროვნულ-პატრიოტული თემები დომინირებდა, რომლებსაც ფორმალურად არსებულ საბჭოთა ელემენტებთან თანაარსებობა უხდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ „ეროვნული ფორმაც“ და „სოციალისტური შინაარსიც“ ოფიციალური კულტურის ნაწილები იყო და ორივე სახელმწიფო ინსტიტუციების მეშვეობით იქმნებოდა, ეროვნული სულ უფრო „ცხელ“ მეხსიერებად ვითარდებოდა, ხოლო საერთო-საბჭოთა – „ცივ“ და რეაქციულად.<sup>1</sup> ასეთ ვითარებაში აქტიურდება ის „მეხსიერების ადგილები“, რომლებიც ოფიციალურ საბჭოთა მეხსიერების სივრცეებში არაა წარმოდგენილი: ესაა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. შესაბამისად, ამ ორმა მეხსიერების ადგილმა საბჭოთაგან პოსტსაბჭოთა პერიოდზე გადასვლის პროცესში მეხსიერების პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი დაიკავა.

1 „ცივი“ და „ცხელი“ მეხსიერება იან ასმანის შემოტანილი ტერმინია, რომელიც კლოდ ლევი-სტროსის „ცივი და ცხელი საზოგადოებების“ კონცეფციიდანაა ნაწარმოები. ლევი-სტროსის თანახმად, „ცივი“ საზოგადოებები მაქსიმალურად ეწინააღმდეგებიან ნებისმიერ ცვლილებასა და სიახლეს, ხოლო „ცხელი“ – ცვლილებისა და წინსვლის მზადყოფნას გამოსახვენ (Assmann, 1999, გვ. 68-70).

# „ეროვნული მოძრაობა“ და მეხსიერების რევიზია

მეხსიერების პოლიტიკაზე სახელმწიფოს დემონოპოლიზაციით საქართველოში მისი წარმოების ახალი კერები გაჩნდა. ამ ცვლილების პირველი ნიშანი 1987 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა იყო. საზეიმო პარაკლისზე, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ასეთი ეპითეტებით შეამკო წმინდანად შერაცხული: „ამიერიდან კი ჩვენ, ქართველები, წმინდა ილია წინასწარმეტყველის ლოცვა-კურთხევით, მუდამ ვიზუივებით ჩვენი ახალი წმინდანის, დიდი ქართველი მწერლის, საქართველოს უგვირგვინო მეფის, მისთვის წამებულისა და მისი გადამრჩენლის, ილია ჭავჭავაძის – ილია მართლის დღეს!“ (ილია მეორე, 1997, გვ. 246). თავად „ერის მამის“ გაწმინდანება, სეკულარული სიმბოლოს გასაკრალურებასთან ერთდ, მასზე, როგორც მეხსიერების ადგილზე, უზენაესი უფლების (Hochheitsrecht) დამყარებასაც ნიშნავდა (Andronikashvili / Maisuradze, 2010, გვ. 14).

ამავე ქადაგებაში ილია II-ს შემოაქვს „ზეციური საქართველოს“ ცნება (ილია მეორე, 1997, გვ. 247), რომელიც საკრალურისა და უნივერსალურის განაციონალურების პირველ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს. ამ ფორმულას ილია მეორე 1980 წლიდან იმეორებს თავის ქადაგებებში, მაგრამ ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენად იქცევა და მასზე წარმოთქმული ქადაგებაც ფართოდ სცდება საეკლესიო-სამრევლო აუდიტორიას და ახალი რელიგიურ-ნაციონალისტური დისკურსის ფუძემდებლურ ტექსტად იქცევა. „ზეციური საქართველო“ 1989 წლიდან უკვე „ეროვნული მოძრაობის“ რიტორიკული ფიგურაა, რომელიც თანდათანობით მეხსიერების ადგილად ყალიბდება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი სიტყვათა კომბინაციის ქრისტიანული ანალოგია „ზეციური იერუსალემია“, რომელიც იოანეს გამოცხადების (21-22) თანახმად, ღვთის სამსჯავროს შემდეგ განახლებულ მიწაზე ციდან დაეშვება, ქართულ ვერსიაში ის ერთგვარი ნაციონალიზებული საიქიოა, სადაც ქართველები იმკვიდრებენ ადგილს. „ზეციური საქართველო“, როგორც ქართული საიქიო, ეროვნული იდენტობის ნაწილად იქცა, რომელიც ეკლესიის ამბიონებიდან და 1980-იანი წლების დასასრულის საპროტესტო მანიფესტაციების მეშვეობით დამკვიდრდა კულტურულ მეხსიერებაში (Andronikashvili / Maisuradze, 2010, გვ. 14). თუმცა მალე, იმ დროს ჯერ ისევ სუსტი ეკლესიის პარალელურად, ასპარეზზე გამოდის „ეროვნული მოძრაობა“, რომელიც მთელ გარდამავალ პერიოდზე მეხსიერების პოლიტიკის წარმმართველი მთავარი სუბიექტი ხდება.

„ეროვნული მოძრაობა“, რომელიც თავად იქცა მეხსიერების ადგილად, საერთო სახელწოდებაა იმ საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ჯგუფების, რომლებიც 1988 წლიდან სსრკ-ის დაშლამდე საქართველოში ყველა პოლიტიკური პროცესის წარმმართველ ძალას წარმოადგენდა. თავდაპირველად ის „არაფორმალურად“ წოდებული ჯგუფებისგან შედგებოდა, რომლებშიც უმეტესწილად



ყოფილი პოლიტპატიმრები და ანტისაბჭოთა განწყობის პირები იყვნენ გაერთიანებული. 1987 წელს მათ მიერ შეიქმნა პირველი „არაფორმალური“ გაერთიანება – „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“. ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთი ილია ჭავჭავაძის სახელობის არაფორმალური გაერთიანება გაჩნდა, თუმცა მან მისი საეკლესიო სახელი – „წმინდა ილია მართალი“ – დაირქვა. ილია ჭავჭავაძე ეროვნული მოძრაობის მთავარ სიმბოლოდ იქცა, ხოლო მისი ერთ-ერთი პირველი პუბლიკაციიდან – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან 'შემლილის' თარგმანზედა“ (1860) ამოღებული და სახეცვლილი ფრაზა – „ენა, მამული, სარწმუნოება“ – ეროვნული მოძრაობის მთავარ ლოზუნგად სტილიზირდა, რომელმაც მთავარი საბჭოთა ლოზუნგი – „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ – ჩაანაცვლა. აქედან მოყოლებული, ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ჯერ ყველა საპროტესტო მანიფესტაციის, შემდგომ კი ყველა სახელმწიფო დაწესებულების უცვლელი ატრიბუტია.

1988 წელს საქართველოს სსრ-ის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და ხელშეწყობით შეიქმნა რუსთაველის საზოგადოება, რომელიც ქართველი ინტელიგენციის ცნობილ წარმომადგენლებს აერთიანებდა. ეს საზოგადოებრივი გაერთიანება „ეროვნული მოძრაობის“ ფორმალურ ალტერნატივად იყო ჩაფიქრებული, თუმცა მალევე მთლიანად „ქუჩის“ გავლენის ქვეშ მოექცა, სადაც 1988 წლიდან დღის წესრიგს სწორედ „ეროვნული მოძრაობა“ განსაზღვრავდა. რუსთაველი, როგორც ქართული კულტურული მემკვიდრეობის მთავარი სიმბოლო, ეროვნული მოძრაობის პოლიტიკურ სიმბოლოდაც იქცა. ამ თვალსაზრისით, აღნიშვნის ღირსია 1991 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების წინ გამოსული ზვიად გამსახურდიას წიგნი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება“, რომლისთვისაც მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიანიჭა. ასეთ მოცემულობაში ქვეყნის პოლიტიკური ლიდერი კულტურული იდენტობის მთავარ სიმბოლოსთან ასოციაცი-აში გამოჩნდა.

# დამოუკიდებლობა, როგორც „მეხსიერების ადგილი“

1988 წლის 26 მაისს თბილისში პირველი მცირერიცხოვანი მანიფესტაცია გაიმართა სტუდენტებისა და არაფორმალულების მონაწილეობით. ეს დღე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) მიერ დაწესებული ეროვნული დღესასწაული – დამოუკიდებლობის დღე იყო. საქართველოს გასაბჭოებით ეს დღესასწაული დავიწყებას მიეცა და ის 25 თებერვლით – „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღით“ შეიცვალა. 1988 წელს 26 მაისი საქართველოს მეხსიერების კულტურაში დაბრუნდა და უკვე 1989 წლიდან ჯერ არაფორმალურად, 1991 წლიდან კი ოფიციალურად საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ აღინიშნება. შესაბამისად, 25 თებერვალი, როგორც გასაბჭოების და დამოუკიდებლობის დაკარგვის დღე, ტრაგიკულ თარიღად გადაფორმდა.

26 მაისთან ერთად ბრუნდება თავად დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეა. ლოზუნგი – „დამოუკიდებელ საქართველოს გაუმარჯოს!“ – უკვე 1988 წლის შემოდგომიდან ყველა მანიფესტაციაზე ჟღერდებოდა, მაგრამ 1989 წლის 4 აპრილს პარლამენტის შენობის (იმ დროს „მთავრობის სახლის“) წინ დაიწყო მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქცია უკვე პირდაპირ საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით. ეს აქცია, რომელშიც იმ დროს არსებული ყველა არაფორმალური გაერთიანება მონაწილეობდა, 9 აპრილს საბჭოთა არმიის სპეცდანიშნულების რაზმის მეშვეობით იქნა დარბეული, რომლის დროსაც 21 ადამიანი დაიღუპა. ეს დღე გარდამტეხი აღმოჩნდა საქართველოს უახლეს ისტორიაში: საქართველოს სსრ-ში შეიცვალა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა, პოლიტიკურ პროცესებზე გადამწყვეტი ზეგავლენა დაამყარა ეროვნულმა მოძრაობამ, ეროვნული დამოუკიდებლობა ქვეყნის განცხადებულ მიზნად იქცა (Ronald Grigor Suny, 1994, გვ. 322; Jones, 2013, გვ. 28).

უფრო დიდი მნიშვნელობა 9 აპრილმა ახალი ქართული კოლექტიური მეხსიერებისთვის შეიძინა: ის, ერთი მხრივ, ეროვნული გლოვისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის დღედ შეირაცხა და ასე აღინიშნება 1990 წლიდან მოყოლებული; მეორე მხრივ, 9 აპრილის ტრავმა საფუძვლად დაედო საქართველოს, როგორც „მსხვერპლის“ იდეის ხელახლა აღორძინებას და მის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელ მოტივად ქცევას (შდრ. ზაალ ანდრონიკაშვილი, 2012, გვ. 73-112.). ამ თვალსაზრისით გადამწყვეტი როლი ითამაშა ზვიად გამსახურდიამ. მან 9 აპრილს დაღუპულები მოწამეებად, ხოლო „დაღვრილი სისხლი“ მსხვერპლად გამოაცხადა. ამიერიდან, ეს თარიღი, თავისი სამსხვერპლო კონტექსტით, გამსახურდიას პოლიტიკურ რიტორიკაში მუდამ ფიგურირებდა. შემთხვევითი არ იყო 1991 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის 9 აპრილის შერჩევა. ამით მსხვერპლშეწირვის იდეა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას გადაეჯაჭვა. პარლამენტის სხდომაზე თავისი სიტყვა, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო გამოცხადებულია, გამსახურდიამ ასე დაამთავრა: „სიმბოლურია საქართველოს დამოუკიდებლო-

ბის გამოცხადება 9 აპრილს, ვინაიდან ამ დღეს გადაწყდა საქართველოს ბედი. 9 აპრილის წამებულთა სულები დაგვცქერიან ჩვენ და ხარობენ ზეციურ ნათელში, რამეთუ აღსრულდა ნება მათი, აღსრულდა ნება ქართველი ერისა! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს, ფარავდეს ღმერთი!” (გამსახურდია, 2013, გვ. 335).

გამსახურდია, რომლის რიტორიკაც გამსჭვალული იყო რელიგიური სიმბოლიკითა და ფორმულებით, მთავარი ავტორია დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პოლიტიკური ნარატივისა, თავისი მესიანისტური ფორმითა და ნაციონალისტური შინაარსით, რომელმაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა მთელი შემდგომი პერიოდის მეხსიერების პოლიტიკის ხასიათი. „ჩვენი გზა არის მოწამეობრივი გზა, გზა ქრისტესი, გზა ეკლის გვირგვინისა, ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა!“ – გამსახურდიას ეს ხშირად გამეორებადი განსაზღვრება ტონალობას აძლევს ახალ მეხსიერების კულტურას. გამსახურდიას ნარატივში ჩნდება კონკრეტული სიმბოლო, რომელიც თავად ამ ნარატივის მთავარი ფიგურაცაა და მეხსიერების მითომოტორიკის<sup>2</sup> წარმმართველიც: ესაა წმინდა გიორგი, მოწამე და მკვდრეთით აღმსდგარი, რომელიც თავის მწამებელს სჯის (მაისურაძე, 2021, გვ. 48). გამსახურდიასვე შემოტანილია ტერმინი „გეორგიანნი“, როგორც ქართველის სინონიმი (გამსახურდია, 1991, გვ. 208). პრეზიდენტი გამსახურდია, 1992 წელს მისი შეიარაღებული გზით დამხობისა და 1993 წელს, ოფიციალური ვერსიით, თვითმკვლელობის შემდეგ, ხოლო 2007 წელს მისი საქართველოში გადმოსვენებითა და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვით, 2013 წელს კი პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ეროვნულ გმირად შერაცხვით, თავადვე ხდება ამ ნარატივისა და კულტურული მეხსიერების ნაწილი.

2 იან ასმანი „მითომოტორიკას“ იყენებს გამაერთიანებელ ცნებად ისეთი მეხსიერების ფიგურების აღსანიშნავად, რომლებსაც ნორმატიული და ფორმატიული ზემოქმედების უნარი აქვთ. ისინი თვითხატებს ქმნიან და კოლექტივის ქმედებას წარმოადგენ (Assmann, Jan, 1999, გვ. 168).

# „ტარიტორიული მთლიანობა“ – მეხსიარების პოლიტიკის ახალი სიმბოლო

სსრკ-ის დაშლას და დამოუკიდებელ პოლიტიკურ სუბიექტად ქცევას საქართველო შეხვდა სამოქალაქო დაპირისპირებითა და ეთნიკური კონფლიქტებით. 1990 წლის დეკემბრიდან, როცა საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ახალი შეიარაღებული კონფლიქტის კერა გაჩნდა ცხინვალის რეგიონში. 1992 წლის აგვისტოში ამას დაემატა ომი აფხაზეთში და, პარალელურად, შეიარაღებული დაპირისპირება სამეგრელოს რეგიონში გამსახურდიას მომხრეებსა და სამთავრობო ძალებს შორის. 1993 წელს სოხუმის დაცემით საქართველომ დაკარგა კონტროლი აფხაზეთზე. აფხაზეთის ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილად გადაიქცა.

კონფლიქტები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გაჩნდა, ეთნოკონფლიქტებად კვალიფიცირდა და კოლექტიურ მეხსიერებაში მთავარ დამნაშავედ უმეტესად მესამე ძალა – „კრემლი“ – სახელდება. შესაბამისად, ნაკლები ყურადღება ექცევა ამ კონფლიქტების გაღვივების იმ წანამძღვრებს, რომლებიც ქართულ საზოგადოებრივ ცნობიერებაში გამოჩნდა. 1980-იანი წლების ბოლოს აზვირთებულ ეთნონაციონალიზმში „ეთნიკური უმცირესობების“ მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. ხშირად ისინი კრემლის „მეხუთე კოლონად“ ცხადდებოდნენ, განსაკუთრებით, თუ საქმე უმცირესობათა უფლებებს ეხებოდა. კონფლიქტის კერები სწორედ იმ რეგიონებში გაჩნდა, სადაც ქართულისგან განსხვავებული ეთნონაციონალისტური მოძრაობები დაიწყო. ასეთი იყო სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ოსური სახალხო ფრონტი – „ადამონ ნიხასი“ და აფხაზური – „აიდგილარა“. ოსური და აფხაზური ეთნონაციონალიზმები ქართულს შეეჯახა და კონფლიქტებში გადაიზარდა.

ეთნიკური კონფლიქტების იდეოლოგიური საფუძვლები კი მეხსიერების პოლიტიკიდან ამოიზარდა. ქართულ პერიოდიკაში, რომელიც უკვე 1988 წლიდან ეროვნული მოძრაობის დღის წესრიგს მიჰყვებოდა, ჩნდება პუბლიკაციები, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქს „საქართველოს სხეულში ნაღმებად“ განიხილავდა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ სწორედ სეპარატიზმის გაჩაღების მიზნით შექმნა. ეროვნულმა მოძრაობამ ავტონომიების პრობლემას ისტორიული მეხსიერების საკუთარი ვერსია დაუპირისპირა. სახელწოდება „სამხრეთი ოსეთი“ ჩაანაცვლა ზვიად გამსახურდიას მიერ შემოტანილმა „სამაჩაბლომ“ (Gelaschwili, 1993, გვ. 34). 1989 წლის მარტში, მას შემდეგ, რაც დაბა ლიხნიში აფხაზთა ეროვნული შეკრება გაიმართა და აფხაზეთის საქართველოდან გამოყოფა მოითხოვა, თბილისში აზვირთდა საპროტესტო ტა-

ლდა „აფსუა სეპარატისტების“ წინააღმდეგ (Jones, 2012, გვ. 45). ერთ-ერთ საპროტესტო მიტინგზე ზვიად გამსახურდიამ აფხაზებთან მიმართებით, შეიძლება ითქვას, ისტორიული მეხსიერების ახალი პარადიგმა ჩამოაყალიბა, რომელიც ქართულ-აფხაზური ეთნიკური კონფლიქტის ამოსავალი წერტილი გახდა: „აფხაზი ერი ისტორიულად არასოდეს არ არსებობდა. აფხაზეთი იყო სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი და აფხაზები იყვნენ დასავლეთ ქართველები. ასე რომ, აფხაზი ერი იყო დასავლეთ ქართველი ერი იგივე, ხოლო ის ძველი, ქრისტიანი, ქართველი აფხაზები დღეს აღარ არსებობენ. მაგრამ, სახელწოდება აფხაზი დღეს არასწორად იხმარება აფსუას ტომთან დაკავშირებით. აფსუა, ანუ აფსარნი, ეს არის ჩრდილოეთკავკასიური, ადიღური მოდგმის ტომი. ჩვენ არც ერთი ტომის თვითგამორკვევის წინააღმდეგნი არა ვართ, თუ ის ერად ქცევას ლამობს მის ისტორიულ ტერიტორიაზე, ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ ეს ტომი თუ ტომები ამას შეიგნებენ, ჩვენ მათ ამოვუდგებით მხარში, ოდონდ იმ პირობით, რომ მათ უნდა ადაღინონ ისტორიული სამართლიანობა და დაგვითმონ ჩვენი მიწა-წყალი და დამკვიდრდნენ იქ, საიდანაც მობრძანდნენ“.<sup>3</sup>

ქართულ-აფხაზური კონფლიქტი 1989 წელს არ გაჩენილა და მას წინ მრავალი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები უძღოდა (Toria, Malkhaz: 2015, გვ. 53-56). ამასთანავე, ამ კონფლიქტის გაღვივებაში მნიშვნელოვანი როლი ისტორიოგრაფიულმა პოლემიკებმაც ითამაშა, კერძოდ, იმ საკითხის გარკვევამ, თუ ვინაა აფხაზეთის მკვიდრი და, მაშასადამე, კანონიერი მოსახლეობა. ერთი მოსაზრების თანახმად, რომელიც 1954 წელს ქართველმა მწერალმა პავლე ინგოროყვამ თავის ისტორიულ-ფილოლოგიურ ნაშრომში „გიორგი მერჩულე“ – გააუღერა, იყო იმის მტკიცების მცდელობა, რომ შუა საუკუნეების აფხაზთა სამეფოს მოსახლეობა ეთნიკურად ქართველები იყვნენ, ხოლო თანამედროვე აფხაზები, „აფსუები“, XVII საუკუნეში ჩამოსახლდნენ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. ამ წიგნს მძაფრი კრიტიკა მოჰყვა აფხაზი საზოგადოების მხრიდან, რომელმაც ინგოროყვას მოსაზრება ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფად და მშობლიურ მიწაზე კანონიერი უფლების წართმევის მცდელობად აღიქვა. 1989 წელს გამსახურდიამ სწორედ ეს, მეცნიერულად არასდროს ბოლომდე აღიარებული მოსაზრება აიტაცა და დროის უმოკლეს ხანაში ქართული ისტორიული მეხსიერების პარადიგმად აქცია, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ეთნიკურად ქართველები იყვნენ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა.

1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღეს, ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა ისტორიული მნიშვნელობის განცხადება, რომ საქართველო დამარცხდა რუსეთთან ომში, ხოლო აფხაზეთი სწორედ რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაა. ამით საქართველომ უარი თქვა, კონფლიქტის მხარედ აფხაზეთი ეცნო, რომლის დე ფაქტო დამოუკიდებლობა ქართულ პოლიტიკურ და ისტორიულ ცნობიერებაში „ოკუპირებული ტერიტორიაა“.

3 [https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3\\_u3WY](https://www.youtube.com/watch?v=Pe4QP3_u3WY)



# „ბნელი 90-იანი წლები“ და ეკლესიის აღზევანების დასაწყისი

მთელი 1990-იანი წლების პირველი ნახევარი იმდენად გადატვირთული იყო კატასტროფებით, რომ კოლექტიურ მეხსიერებაში ეს პერიოდი ერთგვარ შავ ლაქად ჩაიწერა, რომელიც მხოლოდ ნგრევასთან, მარცხსა და უკიდურეს გაჭირვებასთან იგივდება. ამ პერიოდიდან მხოლოდ ერთი მეხსიერების ფორმულა შემორჩა: „გახსოვდეს აფხაზეთი!“

სიტუაცია იცვლება 1995 წლიდან, როდესაც მიიღება ახალი კონსტიტუცია, შემოდის ეროვნული ვალუტა ლარი, ინიშნება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომლებშიც იმარჯვებენ ედუარდ შევარდნაძე და მისი პარტია – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი. პირველი ნაბიჯი ახალი მეხსიერების პოლიტიკისკენ უკვე შევარდნაძის პრეზიდენტად ინაუგურაციაზე გამოჩნდა, რომელიც ჯერ პარლამენტის წინ, შემდეგ კი სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში შედგა. ამ სიმბოლური აქტით, ერთი მხრივ, კავშირი დამყარდა იმ ადგილთან, სადაც უკანასკნელი ქართველი (ქართლ-კახეთის) მეფეები ეკურთხნენ, მათსავე საფლავებთან; მეორე მხრივ, საფუძველი ჩაეყარა ეკლესიის ქცევას პოლიტიკური ძალაუფლების ლეგიტიმაციის ადგილად. აქედან მოყოლებული, თანდათანობით ჩვეულებად იქცა პრეზიდენტისა და უმაღლესი პოლიტიკური ეშელონის საჯარო ვიზიტები საეკლესიო ღვთისმსახურებაზე.

1995 წელსვე დაიწყო თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძრის, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს ახალი რელიგიური ცენტრის, მშენებლობა. მის აღმშენებლობაზე პრეტენზია საქართველოს სამ მმართველს აღმოაჩნდა: ედუარდ შევარდნაძეს, რომლის დროსაც მშენებლობა დაიწყო, მიხეილ სააკაშვილს, რომლის პრეზიდენტობისასაც მშენებლობა დასრულდა და ბიძინა ივანიშვილს, რომელიც უკვე თავის წინასაარჩევნო კამპანიაში 2011-2012 წლებში ტაძრის მშენებლობის მთავარ დამფინანსებლად გამოჩნდა. ამ ფაქტორების გათვალისწინებითაც, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი გახსნისთანავე ზეპოლიტიკური ძალაუფლების ცენტრად იქცა.

შევარდნაძემ საფუძველი ჩაუყარა ეკლესიისა და სახელმწიფოს უკვე არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ იურიდიულ დაახლოებასაც, რაც 2002 წელს საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის გაფორმებული საკონსტიტუციო შეთანხმებით დაგვირგვინდა. კონსტიტუციაში ჩაიწერა „ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს ისტორიაში“. ამ „განსაკუთრებული როლით“, რომელიც ისტორიაში მოიაზრება, ეკლესიამ ყოველწლიურად მზარდი პრივილეგიები და სახელმწიფო დაფინანსება აწმყოში მიიღო, თუმცა ამ მატერიალურ ასპექტზე მნიშვნელოვანი სიმბოლური მნიშვნელობა იყო, რომელიც ისტორიულ მეხსიერებას უკავშირდება (ანდრონიკაშვილი, 2016,

გვ. 260). ეკლესიის „განსაკუთრებული როლი“ კონსტიტუციის მეშვეობით კოლექტიურ მეხსიერებაშიც ჩაიწერა, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ეკლესიის ავტორიტეტისა და გავლენის მატებაზე.

შევარდნაძის პრეზიდენტობის ხანაში (1995-2003) ეკლესიის როლის წინ წამოწევა, უპირველეს ყოვლისა, პირადად შევარდნაძის ლეგიტიმაციის ხარისხის მხარდაჭერას ემსახურებოდა. შევარდნაძე, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად დაუბრუნდა ქართულ პოლიტიკას, ამ ფაქტიდან გამომდინარე, მუდამ ლეგიტიმაციის ნაკლებობას განიცდიდა. ის თბილისში ჩამოსვლისთანავე (1992 წლის 7 მარტი) კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ესტუმრა და მოინათლა. აქედან მოყოლებული, ილია მეორეც და ეკლესიაც მისი აქტიური მხარდამჭერი იყო, საკონსტიტუციო შეთანხმება კი – ამ მხარდაჭერის საზღაური.

ამ პერიოდის მეხსიერების პოლიტიკის მთავარი თემა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა („გახსოვდეს აფხაზეთი!“). ამავე კონტექსტშია მოსააზრებელი 1997 წელს თბილისის ცენტრში, რესპუბლიკის მოედანზე გამაერთიანებელი მეფის დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ძეგლის დადგმა. მეორე მიმართულებაა საქართველოს ადგილი საერთაშორისო კონტექსტში, რომელიც ასევე ისტორიულ მეხსიერებას უნდა დაეფუძნოს: ესაა მისი შუალედური ადგილი ევროპასა და აზიას შორის, „აბრეშუმის გზა“, როგორც ამ დამაკავშირებელი რგოლის სიმბოლო. მეხსიერების ეს პოლიტიკური ხაზი გვირგვინდება 1999 წელს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას სტრასბურგში, ევროპის საბჭოში ნათქვამი ფრაზით: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, მე ვარ ევროპელი“. უკვე 21-ე საუკუნის საქართველოში ევროპა და ევროპელობა არა მხოლოდ პოლიტიკური ორიენტაციის აღმნიშვნელად, არამედ ისტორიული მეხსიერების ადგილად იქცა.

# „ვარდების რევოლუცია“ და „უძველესი ევროპელები“

არცერთ ხელისუფლებას იმდენი დრო და ძალისხმევა არ დაუთმია მეხსიერების პოლიტიკისათვის, რამდენიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და მის პარტია ერთიან ნაციონალურ მოძრაობას. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც შევარდნაძის პარტია – საქართველოს მოქალაქეთა კავშირი – იმარჯვებდა, მასობრივი საპროტესტო აქციები მოჰყვა, რომლებიც 23 ნოემბერს შევარდნაძის გადადგომით და ე.წ. ვარდების რევოლუციით დასრულდა. უკვე თავად ეს „რევოლუცია“ იქცა ახალი ხელისუფლების „დაფუძნების მითად“. სააკაშვილმა ხელისუფლებაში თავისი მოსვლა მთლიანად ამ რევოლუციური მითის ინსცენირებით დაიწყო. თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანს, ამაჟამად (2018 წლიდან) „პირველი რესპუბლიკის მოედანს“, 2005 წელს „ვარდების რევოლუციის მოედანი“ ეწოდა. მოედანი 1983 წელს აშენდა და მას რესპუბლიკის სახელი დაერქვა. ის ჯერ საბჭოთა პარადებისთვის იყო განკუთვნილი, მოგვიანებით მათ საპროტესტო მიტინგები ჩაენაცვლა. შესაბამისად, ეს მოედანი საბჭოთა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდის მეხსიერების ადგილი იყო. სააკაშვილის მეხსიერების პოლიტიკაში „რესპუბლიკა“ „რევოლუციამ“ შეცვალა. „ვარდების რევოლუციის“ მითი შეიცავს, ერთი მხრივ, საბჭოთა წარსულიდან საბოლოოდ გამოსვლას, როგორც პროგრესისა და მოდერნიზაციის იდეას; მეორე მხრივ, აფუძნებს ქართველების, როგორც „უძველესი ევროპელების“ ნაციონალისტური პათოსით გაჟღენთილ ნარატივს, რომელიც მოდერნიზაციის პარალელურად, საქართველოს არქაიზაციისკენ იყო მიმართული, თანაც იმ განზრახვით, რომ არქაულობა საქართველოს თანამედროვე დასავლურ სამყაროში განსაკუთრებული ადგილის მოპოვების საწინდარი უნდა გამხდარიყო (Maisuradze, 2018, გვ. 48). ამ მიზნისთვის ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე იწყებს მთელი რიგი ინსტიტუციების, სიმბოლიკის, იკონოგრაფიებისა თუ ნარატივების შექმნას, რომელთა მეშვეობითაც ჩქარი ტემპით ახალი მეხსიერების პოლიტიკა ხორციელდება და ის სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ საქმედ იქცევა.

პირველ რიგში, საქმე ეხება საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის – დროშის, გერბისა და ჰიმნის – შეცვლას. უკვე 2004 წლის 14 იანვარს შეიცვალა საქართველოს პირველი რესპუბლიკისგან (1918-1921) ნამეგვიდრევი სამფეროვანი დროშა და ის შუა საუკუნეების საქართველოს დროშად გამოცხადებულმა ხუთჯვრიანმა დროშამ შეცვალა, რომელიც აქამდე უშუალოდ მმართველი პარტიის დროშა იყო (მინდაძე, ივა, 2005, გვ. 66). იმავე წლის აპრილში შეიცვალა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“ ახლით, „თავისუფლებით“; ოქტომბერში კი შეიქმნა ახალი სახელმწიფო გერბიც, რომელზეც ასევე შუა საუკუნეების მონარქიის სიმბოლიკა – ლომები, გვირგვინი და ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგის ხატი გამოისახა, რომელსაც ამ ხატის ქვეშ წარწერა – „ძალა ერთობაშია“ – დამატა.

სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი და მთავარი პრობლემა, რომელიც მან წინამორბედი ხელისუფლებისგან მიიღო, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა“ იყო. საამისოდ ჯერ კიდევ შევარდნაძემ 2003 წელს საგანგებო კომიტეტი შექმნა.<sup>4</sup> სააკაშვილი კიდევ უფრო აფართოებს ამ მმართველებით მუშაობას, რაც თავად საქართველოს მოსახლეობაში სამხედრო-პატრიოტული სულიკვეთების გაზრდასაც გულისხმობს. სააკაშვილის განკარგულებით, 2005 წელს საქართველოში იქმნება „პატრიოტთა ბანაკები“, რომლებშიც მოსწავლეებს არდადეგების პერიოდში ახალ ეროვნულ ღირებულებებთან აზიარებდნენ. ერთ-ერთი ასეთი ღირებულებაა „ეროვნული გმირობა“, რომელმაც 2004 წელს „ეროვნული გმირის ორდენის“ დაწესებით უკვე ინსტიტუციონალური ფორმა მიიღო.

თუმცა ეროვნული გმირის ინსტიტუციის შექმნაზე უფრო მნიშვნელოვანი თავად ეროვნული გმირის ხატების შექმნა იყო, რომელიც, როგორც „ორიგინალი“, თავად გმირობის იდეის განსახიერება იქნებოდა. ასეთ ფიგურად შეირჩა ქაქუცა ჩოლოყაშვილი (1888-1930) – რუსეთის იმპერიის არმიის ოფიცერი, 1919 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე, 1921 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლის და 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური. მისი პორტრეტები ეროვნული მოძრაობის მანიფესტაციებზე უკვე 1988 წლის ბოლოს გამოჩნდა და იმავე პერიოდში გაჩნდა მისი ფიგურა ისტორიულ მეხსიერებაში. 2005 წელს მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და ორდლიანი თეატრალიზებული ცერემონიით მთაწმინდის პანთეონზე დაკრძალეს. მისი პორტრეტი 200-ლარიან ბანკნოტზე გამოისახა.

სააკაშვილის განკარგულებით უკვე 2004 წელს მოხდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სრული რეაბილიტაცია; 2007 წელს მისი ნეშტი საქართველოში გადმოასვენეს და მთაწმინდის პანთეონზე დაკრძალეს, ხოლო 2013 წელს გამსახურდიას ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

გამსახურდიას ფიგურასთან ერთად, სააკაშვილის მეხსიერების პოლიტიკაში დაბრუნდა გამსახურდიას შემოტანილი წმინდა გიორგის ფიგურა. 2006 წელს თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე დაიდგა ურჩხულთან მებრძოლი წმინდა გიორგის მონუმენტი, როგორც ქვეყნის მთავარი პოლიტიკური და კულტურული სიმბოლო და მას „თავისუფლების მონუმენტი“ ეწოდა. მონუმენტმაც და თავად წმინდა გიორგის სიმბოლომაც ახალი მნიშვნელობა შეიძინა 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ხუთდღიანი ომის კონტექსტში. 1 სექტემბერს თბილისში, თავისუფლების მოედანზე გამართულ მრავალათასიან მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვაში წმინდა გიორგიმ რუსულ იმპერიალიზმზე გამარჯვების სიმბოლოს მნიშვნელობა შეიძინა: „რუსული იმპერიალიზმი დასამარდება [...] მთელი მსოფლიოს ბედი აქ წყდება, თავისუფლების მოედანზე, წმინდა გიორგის წინამძღოლობით [...] ჩვენ ოქროს საწმისის, არგონავტების, უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა ვართ!“

საქართველოს „უძველესი ცივილიზაციად“, კერძოდ, „უძველეს ევროპელებად“ ინსცენირება სააკაშვილის მეხსიერების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო და ის მისი პრეზიდენტად არჩევისთანავე გამოიკვეთა, მთელი თავისი მითო-პოეტური ფორმებითა და საგარეო თუ სამინაო პოლიტიკური აქცენტებით.

4 <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/33784?publication=0>



უკვე 2004 წლის იანვარში, ნატოს გენერალურ მდივანს – ხავერ სოლანას სააკაშვილმა ასე მიმართა:

„ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ თავისი ბუნებით და მოქმედებით არის ბოლომდე ევროპული ხალხი... ჩვენ, შესაძლოა, ბევრად უფრო ევროპელი ხალხი ვართ, ვიდრე ძველი ევროპელები... არსებობენ ძველი ევროპელები – ესაა დასავლეთი ევროპა და არსებობენ ახალი ევროპელები – ესაა პოლონეთი, უნგრეთი... მაგრამ არსებობენ, გარდა ამისა, უძველესი ევროპელები და ესენი ვართ ქართველები“.<sup>5</sup>

„უძველესი ევროპელობის“ ინსცენირებისთვის სააკაშვილი იყენებდა როგორც მითოლოგიურ თუ ისტორიულ ფიგურებს, ასევე 1991-2001 წლებში დმანისში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ 1,8 მილიონი წლის ჰომო ერექტუსების ნაშთებს, რომლებსაც „მზია და ზეზვა“ დაერქვა (Jones, 2012, გვ. 5). 2007 წელს საპარლამენტო ანგარიშში სააკაშვილმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა „უძველესი ევროპელების“ საკუთარი ვერსია, რომელშიც კიდევ უფრო გამოკვეთა ახალი მეხსიერების პოლიტიკის აქცენტები: „საქართველო უბრუნდება თავის ისტორიულ – ევროპულ ოჯახს. ევროპელებმა პირველად საქართველო გაიცნეს როგორც ოქროს საწმისის სამშობლო. ახლა ევროპელებმა უნდა გაიცნონ როგორც უძველესი ევროპელების სამშობლო, რომელიც მიისწრაფვის მალე გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი“ (საკაშვილი, 2007)<sup>6</sup>.

2007 წელს ერთმანეთის მიყოლებით დაიდგა ბათუმში მედეას, ხოლო თბილისში პრომეთეს მონუმენტები, რომლებიც პირადად სააკაშვილმა გახსნა. ამ ფიგურების, განსაკუთრებით, „ქართველი“ მედეას, მთავარი დანიშნულება ისეთი მეხსიერების ფიგურების გააქტუალიზება იყო, რომლებიც „უძველესი ევროპელობის“ მითს გაამყარებდა (Khalvashi, 2018, გვ. 1). ამის პარალელურად იწყება ისტორიული მეხსიერების რევიზიით საბჭოთა წარსულის „გადაწერის“ პროცესი. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 2006 წელს თბილისში, ყოფილი „ხალხთა მეგობრობის მუზეუმის“ ადგილზე „საბჭოთა ოკუპაციის მუზეუმის“ დაარსება, რომელიც მთელ საბჭოთა პერიოდს ოკუპაციად და წინააღმდეგობის მოძრაობად გამოსახავს. ისტორიის გადაწერის პროცესი განსაკუთრებით მწვავედ 2008 წლის ომის შემდეგ. 2009 წელს ქუთაისში აფეთქებით იქნა განადგურებული მეორე მსოფლიო ომისადმი მიძღვნილი „დიდების მონუმენტი“, რომლის ადგილზეც საქართველოს პარლამენტის ახალი შენობა აშენდა. 2010 წელს გორის ცენტრში ჩამოიხსნა 1956 წლის დესტალინიზაციას გადარჩენილი სტალინის ერთადერთი მონუმენტი. იმავე წელს თბილისში, გმირთა მოედანზე დაიდგა „დიდების მონუმენტი“, რომელიც საბჭოთა ოკუპაციასთან და „ტერიტორიული მთლიანობისათვის“ ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლებს მიეძღვნა. იქვე შეიქმნა „მარადიული ცეცხლი“, მუდმივი საპატიო ყარაულით. სააკაშვილის მეხსიერების პოლიტიკის მიზანი 2008 წლის რუსეთთან ომისა და საბჭოთა ოკუპაციის გადაჯაჭვა იყო (Torja, Malkhaz: 2014, გვ. 316-336). საქართველოს ისტორიულ მეხსიერებაში 1992-1993 წლების აფხაზეთის ომი, 2008 წლის აგვისტოს ომი, 1921 წლის საბჭოთა რუსეთის ინტერვენციასთან და, მთლიანად, საბჭოთა წარსულთან უნდა გამთლიანებულიყო. გამსახურდიას დამხობა და სამოქალაქო ომიც

5 ციტატა გოგი გვხარას ბლოგის – „რას ნიშნავს უძველესი ევროპელები“ – მიხედვით: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1533205.html>

6. <https://www.president.gov.ge/Files/ShowFiles?id=0d2119cd-37c3-4365-b36a-71d7e09ddfe7>.



ამავე ისტორიის ნაწილი გახდა. რუსულ-საბჭოთა იმპერიალიზმთან საქართველოს ბრძოლის სიმბოლოდ წმინდა გიორგის გამოჩენით, სააკაშვილმა საკუთარი მმართველობა გამსახურდიასა და ეროვნულ მოძრაობასთან დააკავშირა. ანტი-კური სამყაროს ფიგურებსა და ჰეროიკულ პათოსზე დაფუძნებული „უძველესი ევროპელობის“ მითიც მნიშვნელოვანწილად გამსახურდიასეული მესიანიზმის რემინისცენცია იყო, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს მორგებული, როგორც საქართველოს რევოლუციური გარდაქმნისა და „ვესტერნიზაციის“ პროექტის ნაწილი.

# „ქართული ოცნება“ და „სისხლიანი ცხრა წელი“

ეს პროექტი 2012 წელს საპარლამენტო არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ მარცხით და ხელისუფლებაში კოალიცია „ქართული ოცნების“ მოსვლით დასრულდა. „ქართული ოცნების“ დამაარსებელმა, მულტიმილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა ოპოზიციის უდიდესი ნაწილის გაერთიანება და სააკაშვილის მმართველობით მოსახლეობაში მზარდი უკმაყოფილების მობილიზაცია შეძლო. ამაში მისი მოკავშირე, იმ დროისთვის უკვე ყველაზე მაღალი ავტორიტეტის მქონე ინსტიტუცია – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იყო. სააკაშვილის დაჩქარებულმა მოდერნიზაციამ და რადიკალურმა ნეოლიბერალურმა პოლიტიკამ, რომელსაც თან ახლდა პროტესტის ძალადობრივი ჩახშობა და რეპრესიული პოლიტიკა, საქართველოში მწვავე სოციალური და პოლიტიკურთან ერთად, კულტურული პრობლემებიც გააჩინა. მიუხედავად სააკაშვილის მკვეთრად გამოხატული ნაციონალისტური რიტორიკისა (მდრ. Jones, 2012, გვ. 225-226), მისი „ევროპეიზაციის“ და პროგრესის პოლიტიკა, კულტურული ლიბერალიზმი – მოსახლეობის მრავალრიცხოვან ნაწილში, რომელიც სააკაშვილის რეფორმებით დაზარალებული აღმოჩნდა, ტრადიციულ ღირებულებებზე თავდასხმად იქნა აღქმული. ამ განწყობის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი ეკლესიამ ითამაშა. სოციალური უკმაყოფილების და სახელმწიფოს მხრიდან ძალადობრიობის მიმართ პროტესტი გადაფარა ანტილიბერალურმა აფექტმა და „ტრადიციული ღირებულებების“ დაცვისთვის ბრძოლის იდეოლოგიამ, რაც „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში იდეოლოგიური ფონის შემქმნელი აღმოჩნდა.

თუმცა „ქართული ოცნების“ ერთადერთი მიღწევა მეხსიერების პოლიტიკის მიმართულებით არა ტრადიციულ ღირებულებებს, არამედ „ნაციონალურ მოძრაობას“ და სააკაშვილის მმართველობას უკავშირდება. ესაა რიტორიკული ფორმულა „სისხლიანი ცხრა წელი“, რომელიც დღემდე ეფექტურად გამოიყენება „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობისგან, ამჟამად უკვე ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელშიც წამყვანი ძალა „ნაციონალური მოძრაობაა“. „ქართული ოცნების“ მთელი ინტელექტუალური რესურსი ხელისუფლებაში თავისი წინამორბედისა და შემდგომში მთავარი ოპონენტის დაგმობას და მაქსიმალურად უარყოფით ფერებში გამოსახვას ხმარდება.

„ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მეხსიერების პოლიტიკის მთავარ ინიციატორად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოიკვეთა. ამის პირველი ნიშანი 2014 წელს პატრიარქის მიერ 17 მაისის „ოჯახის სიწმინდის დღედ“ გამოცხადება იყო. ამ ახალ დღესასწაულს ერთადერთი მიზანი ჰქონდა: ერთი წლით ადრე, 2013 წლის 17 მაისს, თბილისში აქტივისტთა მცირერიცხოვანი ჯგუფი ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღნიშვნას შეეცადა. ამ აქციას სამღვდელოების მიერ ორგანიზებული მრავალათასიანი ძალადობრივი კონტრაქცია დაუპირისპირდა და

სასტიკად დაარბია. ძალადობის ეს აქტი ტრავმატულად დაილექა საზოგადოების საკმაოდ მრავალრიცხოვან ნაწილში. პატრიარქის მიერ 17 მაისის „ოჯახის სიმტკიცის დღედ“ გამოცხადება ამ თარიღის გადაფარვის მცდელობა იყო.

უფრო კურიოზული იყო 2019 წელს მთავრობის ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ დაჩქარებული წესით მიღებული გადაწყვეტილება – 12 მაისის „ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის დღედ“ გამოცხადება. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა 2018 წლის 27 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის იმავე შინაარსის განჩინება. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლებამ შეასრულა და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიანიჭა ეკლესიის ნებას. საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდრობის იდეა, რომელიც XI საუკუნეში ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნასთან ერთად ჩამოყალიბდა, XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის პოეტურ ნარატივში გაცოცხლდა, ხოლო 1980-იანი წლების ბოლოს ნაციონალისტური რიტორიკის განუყრელ ნაწილად იქცა. ამდენად, ეს იდეა ქართული ეროვნული მეხსიერების ადგილია, თუმცა მისგან სადღესასწაულო თარიღის შექმნა არცერთ პოლიტიკურ მმართველობას აზრად არ მოსვლია. „ქართული ოცნების“ მხრიდან ამ ახალი თარიღის დაკანონებას საზოგადოებაში უმეტესად ირონიული რეაქციები მოჰყვა. ერთადერთი წარმატებული პროექტი მეხსიერების პოლიტიკაში, რომელიც „ქართული ოცნების“ ანგარიშზეა, მისი მმართველობის მეათე წელს, მისი წინამორბედი სააკაშვილის „სისხლიანი ცხრა წელია“.

# ახლო და შორეული წარსული მეხსიერების პოლიტიკის პერსპექტივიდან

დამოუკიდებელ საქართველოში მეხსიერების პოლიტიკის გამოყენების ორი ძირითადი ტენდენცია უწყვეტად იკვეთება: პირველი მოკლე ისტორიულ მეხსიერებას უკავშირდება და მისი მიზანი წინამორბედი ხელისუფლებისა თუ პოლიტიკური სისტემის მაქსიმალურად უარყოფით ფერებში გამოსახვაა, რაც საქართველოს სპეციფიკური პოლიტიკური ტრანსფორმაციითაა განპირობებული. გამსახურდიას ძალისმიერი დამხობის შემდეგ, შევარდნაძემ გამსახურდიას მმართველობას „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა. ასეთი კვალიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, გამსახურდიას დამხობის გამამართლებელი უნდა ყოფილიყო, შევარდნაძეს კი დემოკრატიის აღმშენებლის სტატუსს ანიჭებდა. აქედან დაიწყო მოქმედი ხელისუფლების მხრიდან წინამორბედის სრული დისკრედიტაციის ტრადიცია, რომელიც საკუთარი უკეთესობისა და აღმატებულების მტკიცებას ემსახურებოდა. ასე გაგრძელდა სააკაშვილის და „ქართული ოცნების“ მმართველობების შემთხვევაშიც: „ვარდების რევოლუციამ“ შევარდნაძე შერაცხა ქვეყნის დასავლური განვითარების მთავარ მუხრუჭად; „ქართულმა ოცნებამ“, რომელმაც 2012 წელს თავის მთავარ პოლიტიკურ მიზნად „სამართლიანობის აღდგენა“ დაისახა, მთელი თავისი პროპაგანდისტული რესურსი წინამორბედი „ნაციონალური მოძრაობის“ უსამართლობისა და მანკიერების მტკიცებისკენ მიმართა. ეს ტენდენცია დღემდე უცვლელი რჩება.

ცალკე აღნიშნას იმსახურებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც მოახერხა, რომ ყველაზე გავლენიან ინსტიტუციად ჩამოყალიბებულიყო, რაც მეხსიერების პოლიტიკაზე არათუ წვდომას, არამედ მის შესაჭრობასაც გულისხმობს. საქართველოში არსებული ოფიციალური დღესასწაულებიდან ცხრა საეკლესიოა და მხოლოდ შვიდია სამოქალაქო. ამას ემატება სხვა საეკლესიო დღესასწაულებიც, რომლებიც პირდაპირ მეხსიერების პოლიტიკის ნიმუშებია.<sup>7</sup> ილია ჭავჭავაძიდან მოყოლებული, ცნობილი ქართველი საერო მოღვაწეების წმინდანებად შერაცხვით, ეკლესიამ სწორედ მეხსიერების პოლიტიკაზე სადავეების ხელში აღება სცადა და მთელი წარსულის და მისი შეფასების საკუთარი ვერსიების დანერგვა დაიწყო. ამით მისი მზერა უფრო შორეული წარსულისკენაა მიმართული და ამით ის დამოუკიდებელი საქართველოს მეხსიერების პოლიტიკის მეორე მთავარი ტენდენციის სათავეებთანაა და გარდამავალი უპირატესობით კონკურენციაშიცაა სახელმწიფოსთან თუ პოლიტიკურ ელიტებთან, რომელთა შეხედულებებიც ყოველთვის სრულ თანხვედრაში არაა ეკლესიასთან.

7 სამაგალითოა „ასი ათასი მოწამის დღე“ – 13 ნოემბერი, რომელიც თბილისში საეკლესიო მსვლელობით აღინიშნება და საფუძვლად უდევს 1227 წელს თბილისში ხვარაზმის შაჰ ჯალალ ედ-დინის მოწყობილი სისხლისღვრა.

მეორე ტენდენცია შორეული ისტორიული მეხსიერებისკენაა მიმართული და ეროვნულ იდენტობას ეხება. ამ სფეროში უცვლელია საქართველოს „უძველესის“ პრედიკატი ალნიშვნა, რომელიც პირდაპირ საბჭოთა მეხსიერების კულტურიდანაა ნამეგვიდრევი და უწყვეტად მიჰყვება მთელ პოსტსაბჭოთა პერიოდს. ის, ერთი მხრივ, ნაწილია „კონტრპრეზენტული“ მითის, რომელიც წარსულის განდიდებით აწმყოში მოუგვარებელი პრობლემების კომპენსაციას ემსახურება. იან ასმანის სიტყვებით, „მითოსი არის ის, რაც მოიხმობს წარსულს, საიდანაც აწმყოს და მომავალს ნათელი ეფინება“ (Assmann, 1999, გვ. 78).

შორეული წარსულის განდიდებასთან ერთად, უწყვეტია საბჭოთა წარსულის მიმართ ცალსახად უარყოფითი დამოკიდებულების ხაზიც. დამოუკიდებლობის მოპოვება საბჭოთა კავშირთანაც და საკუთარ საბჭოთა წარსულთანაც რადიკალური გამიჯვნით იწყება. შესაბამისად, ყველაფერი, რაც „საბჭოთაა“, მხოლოდ უარყოფით შინაარსს იძენს. საბჭოთა – ესაა იმპერიულობისა და ჩაგვრის, ასევე უხარისხობის, ჩამორჩენილობისა და რეგრესის სინონიმი. ის თანაბრად გამოიყენებოდა ყველა პოსტსაბჭოთა მმართველობის მხრიდან უარყოფითი შინაარსით დატვირთულ რიტორიკულ ფიგურად, როგორც წარსულთან გასამიჯნად, ასევე ოპონენტის სადისკრედიტაციოდ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ, მეხსიერების პოლიტიკა დამოუკიდებელ საქართველოში, უპირველეს ყოვლისა, ახალი ეროვნული იდენტობის შექმნას ემსახურება. ეს ახალი იდენტობა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და მის საგარეო ორიენტაციასაც მოიცავს. საქართველოს ევროპისადმი მიკუთვნებულობა და საბჭოთა წარსულისგან რადიკალური გამიჯვნა ამ ახალი ერ-სახელმწიფოებრიობის განმსაზღვრელი ნიშნებია.



# გამოყენებული ლიტერატურა

Andronikashvili, Zaal/Maisuradze, Giorgi: Secularization and its Vicissitudes in Georgia, – Identity Studies, Vol. 2, Tbilisi 2010.

ანდრონიკაშვილი, ზაალ: უძღურების დიდება. ქართული პოლიტიკური თეოლოგიის მარტიროლოგიური პარადიგმა, – გიგა ზედანია (რედაქტორი), პოლიტიკური თეოლოგია. მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ, თბილისი 2012.

ანდრონიკაშვილი, ზაალ: კონსტიტუცია და ფუნდამენტური წესრიგი. კონსტიტუციის კულტურული წინაპირობები, – ვ. ნაცვლიშვილი/დ. ზედელაშვილი (რედაქტორები), საქართველოს კონსტიტუცია 20 წლის შემდეგ, თბილისი 2016.

Assmann, Aleida: Arbeit am nationalen Gedächtnis. Eine kurze Geschichte der deutschen Bildungsidee, Frankfurt/ New York 1993.

Assmann, Jan: Das kulturelle Gedächtnis. Schrift, Erinnerung und politische Identität in frühen Hochkulturen, München 1999.

გამსახურდია, ზვიად: საქართველოს სულიერი მისსია, – მისივე: წერილები, ესსეები, თბილისი 1991.

გამსახურდია, ზვიად: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები, ტ.1, 2013.

Gelaschwili, Naira: Georgien: Ein Paradies in Trümmern, Berlin 1993.

Halbwachs, Maurice, La Mémoire collective, Paris 1950.

ილია მეორე: ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი, I, თბილისი 1997.

Jones, Stephen: Georgia. A political History since Independence, London/New York 2013.

Khalvashi, Tamta: The Horizons of Medea: Economies and Cosmologies of Dispossession in Georgia, Journal of Royal Anthropological Institute, 2018.

Maisuradze, Giorgi/Thun-Hohenstein, Franziska: Sonniges Georgien. Figuration des Nationalen im Sowjetimperium, Berlin 2015.

Maisuradze, Giorgi: „Die ältesten Europäer“, oder: Auf der Suche nach dem verlorenen Imperium, – Luka Nakhutsrishvili/Heinrich-Böll-Stiftung (Hg.), Georgien, neu buchstabiert, Bielefeld 2018.

მაისურაძე, გიორგი: წმინდა გიორგი როგორც პოლიტიკური სიმბოლო პოსტსაბჭოთა საქართველოში, – სოფო ზვიადაძე (რედაქტორი), ხილული და უხილავი რელიგია საქართველოში, თბილისი 2021.

Martin, Terry: The Affirmative Action Empire. Nations and Nationalism in the Soviet Union 1923-1939, Ithaca/London 2001.

მინდაძე, ივა: ჯგუფის თვითმყოფადობა და კულტურული მემკვიდრეობის სატები, თბილისი 2005.

Nora, Pierre: Zwischen Geschichte und Gedächtnis. Aus dem Französischen von Wolfgang Kaiser, Frankfurt am Main 1998.

Suny, Ronald Grigor: The Making of Georgian Nation, 1994.

Toria, Malkhaz: Remembering Homeland in Exile: Recollections of IDPs from the Abkhazia, Region of Georgia, – Journal of Ethnopolitics and Minority Issues in Europe, Vol. 14, N.1, 2015.

Toria, Malkhaz: The Soviet Occupation of Georgia in 1921 and the Russian-Georgian War of August 2008: Historical Analogy as a Memory Project in The Making of Modern Georgia, 1918–2012: The first Georgian Republic and its Successors. Ed. by Stephen F. Jones. London and New York: Routledge, Taylor & Francis Group, 2014.

